ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3523126

ნომერი: AR1536626

თარიღი : 31.08.2017

გაცემის თარიღი : 07.09.2017

გაცნობის თარიღი : 07.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ფონიჭალა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ანთაძე პ/ნ 01018000600
- თბილისი ლარსის ქ. N 3

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ჯი-ემ-პი" კოდი: 211385268

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან პირველი კლასის ღია ავტოსადგომის მოსაწყობად სამსახურის მიერ 15.02.2017წ. № 3099811 გადაწყვეტილებით გაცემულია წერილობითი თანხმობა და ამჟამად ირკვევა, რომ საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები ჯერ არ განხორციელებულა, საჭიროა საკითხი დააყენოთ კორექტირების კუთხით და ნომენკლატურაში უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურები: "I კლასი-მცირე არქიტექტურული ობიექტები - 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო - ქმედებები რეკონსტრუქცია, 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა - დემონტაჟი, ლანდშაფტური მშენებლობა - ქმედებები ასევე ახალი მშენებლობა, ღია ავტოსადგომის მოწყობა - ქმედებები კორექტირება და შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება - ქმედებები რეკონსტრუქცია" და შეავსოთ შესაბამისი ველები.

ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დაწვრულებით უნდა ასახოთ საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე (როგორც ირკვევა, ხდება 2 არსებული შენობის დემონტაჟი, არსებული აუზის რეკონსტრუქცია, ხე-ნარაგვების და გამწვანების დარგვა და არსებული შენობების ფასადის შეღებვა. ასევე ფოტომონტაჟზე არ არის ასახული რამდენიმე წიწვივანი ხე-ნარაგვი, რისთვისაც საჭირო იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენა ხე-ნარგავების მოჭრის თაობაზე). ასევე წარმოსადგენი იქნება საკადასტრო გეგმა, სადაც სრულყოფილად იქნება დატანილი საპროექტო დავალებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო. აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება შეზღუდვები: დროებითი შეზღუდვა, გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის და მაღალი ძაბვის სადენის ეგხ „თონეთი“ და ეგხ“ავჭალა 102“-ის დაცვის ზოლი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური სრულყოფილად განიხილავს საკითხს და გაცნობებთ მასში (არსებობის შემთხვევაში) არსებული ხარვეზებისა და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.